საქართ. შეერთებულ სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000მ. ნონპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—3 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ტფილ. ფასი 50ას მან. ▭ პროვინც. 5000 მან.

კვირა ოქტომბრის 8
1922

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულ დამწვარი დედ-მამა: პელაგია გიგოს ასული და კლემენტი დავითის ძე ლორთქიფანიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, სრულიად მოულოდნელად, სამი დღის ავადმყოფობის შემდეგ, მათი უსაყვარლესი შვილის, ქართული უნივერსიტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტის

დათიკოს

გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება კვირას, 8 ოქტომბერს, ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე, წირვის შემდეგ გამოსვენება საკუთარი ბინიდან (სლეპცოვის ქ. № 5) დილის 10 ს. 30 წ. პანაშვიდი სად. 5 საათზედ.

№ 323 2—2

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **სტუდენტთა აგრონომიული წრე** ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს წრის წევრის და დაუღალავი მუშაკის ძვირფასი

დათიკო ლორთქიფანიძის

უდროვოდ გარდაცვალებას

№ 325 2—2

ანდრია და გიორგი კლემენტის ძენი, ნინა გრიგოლის ასული, ალექსანდრა ილიას ასული, პატარა ელენა და რეზო აცნობებენ ნაცნობთა და ნათესავთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველთა ძმა, მეორენის მაზლი, ხოლო უკანასკნელთა ბიძა ქართული უნივერსიტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი

დავით (დათიკო) კლემენტის ძე ლორთქიფანიძე.

გამოსვენება საკუთარი ბინიდან დილის 10½ საათზე, სლეპცოვის ქუჩა, № 5, ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე, სადაც წირვის შემდეგ იქნება დასაფლავებული. № 324. 2—2

ორშაბათს, ოქტომბრის 9,

საღამოს 6 საათზედ შესდგება სხდომა
შემდეგი სექციებისა:

კომუნალურის, სახალხო განათლების და სახალხო ჯანმრთელობის.

ვსთხოვთ ყველა ამხანაგებს გამოცხადდენ დანიშნულ დროს.

მდივანი **ხუნდაძე.**

3—3

განცხადება

კვირას, ა. წ. 8 ოქტომბერს, დილის 9 საათზე
კომუნალურ განყოფილების
სექციის წევრნი გაემგზავრებიან
ავჭალის წყალსადენის
დასათვალიერებლად.

ვთხოვთ ყველა ამხანაგებს აღნიშნულ დროზე გამოცხადდნენ აღმასკომის ბინაზე. საჭიროა თან იქონიონ თავ-თავიანთი ულუფა.

აღმასკომის პრეზიდიუმის მდივანი: **გრ. ხუნდაძე.**

2056 1—1

დამოუკიდებელი პარტიის ლიკვიდაცია

დამოუკიდებელთა პარტიას გერმანიაში დიდი ხნის ისტორია არ აქვს. იგი დაახლოვებით ხუთი წლის წინად გამოეყო გერმანიის სოციალ-დემოკრატიას და დაარსა საკუთარი ორგანიზაცია.

გერმანიის ს.-დემოკრატია იყო იდეური პატრონატი და ფაქტიური ხელმძღვანელი მთელი მეორე ინტერნაციონალისა. ამ პარტიის მდგომარეობა და მისწრაფებანი გამოხატავდა მთელი მსოფლიოს სხვა ს.-დემოკრატიულ პარტიების მდგომარეობას. გერმანიის სოციალისტები ღონისა და შინაარს აძლევდნენ სოციალისტურს აზროვნებას და გამოდიოდნენ ხელმძღვანელების როლში.

თავიდანვე გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში სამმა მიმდინარეობამ იჩინა თავი: რეფორმისტულმა, ცენტრისტულმა და მემარცხენეებმა. სამივე ეს მიმდინარეობანი თავისუფლად თავსდებოდნენ ერთი ორგანიზაციის ჭერს ქვეშ ომამდე და ერთს განუყოფელ პარტიას წარმოადგენდა.

რეფორმიზმი გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში რევიზიონიზმა დაასაბუთა და გაამაგრა მეXIX საუკუნის მიწურულებში. არსებითად მთელი პროგრამა ს.-დემოკრატიული პარტიისა რეფორმიზმის საფუძვლებზე იყო აგებული. პროგრამა-მინიმუმი, დემოკრატიზმისა და პარლამენტარიზმის გაგება მენშევიზმის მხრით არსებულ წყობილებასთან შეგუებას გამოხატავდა. მენშევიზმი უძლური შეიქმნა რევოლიუციონური აქტივიზმი აღეზარდებინა, როგორც მთავარი საშუალება სოციალური ცხოვრების ტრანსფორმაციისათვის; სოციალური ცხოვრების ევოლუცია თავისი შინაგანი განვითარების გზით მიგვიყვანს სოციალიზმამდე—აი ის სოციალური კონცეპცია, რომელზედაც აიგო ერფურტის პროგრამა. ამ კონცეპციაში რევოლიუციონური აქტივიზმისათვის არ დარჩენილა ადგილი. მიუხედავად ამისა ცენტრი, რომელსაც ხელთ ეპყრა მთელი ძალაუფლება მთელს პარტიაში, სიტყვით ვერ შორდებოდა რევოლიუციონურს ფრაზეოლოგიას, ფაქტიურად კი რეფორმიზმის ნიადაგზე იდგა. რევიზიონიზმა მოისურვა ამ წინააღმდეგობის დაძლევა სიტყვასა და საქმის შორის წონასწორობის შექმნა და მთლიანი პროგრამის გამომუშავება.

ცენტრმა ამ ცდისათვის რევიზიონისტები ჯვარზე გააკრეს და თეორიის ღალატი დასწამეს. ფაქტიურად მთელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის საქმიანობა რეფორმიზმის ნიადაგზე იყო აგებული და ისტორიას არ ახსოვს, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიას რაიმე რევოლიუციონური როლი ეთამაშოს.

საერთაშორისო ომმა გამოამჟღავნა მთელი წინააღმდეგობა სოც. დემ. სიტყვასა და საქმის შორის და პარტიის ძალაუფლება ხელში ჩაუვარდათ რეფორმისტებს, რომელნიც სოციალ იმპერიალიზმის გზას დაადგნენ. ომის ზეგავლენით მოხდა იდეური გადაჯგუფება სოციალისტურ წრეებში და მიმართულებებში. რევიზიონისტებმა სავსებით მიიღეს იმპერიალისტების პროგრამა და დაამარცხეს მეორე ინტერნაციონალის პრინციპები. ცენტრი უმოქმედო ლოდინის პოზიციაზე დადგა და ომის წინააღმდეგ ვერ გაბედა აქტიური გამოსვლა. დამახასიათებელია ამ მიმდინარეობის მეთაურის კ. კაუცკის განცხადება: ინტერნაციონალი მშვიდობიანი დროის ინსტრუმენტი არის, ომის დროს ის უნდა გაჩერდეს. ამ უმოქმედო ლოდინის პოლი[illegible]მან დაკარგა პარტიის ხელმძღვანელობის საშუალება. მემარცხენე ფრთის მცირე ჯგუფმა გარკვევით წამოაყენა ომის საწინააღმდეგო პროგრამა და მოითხოვა პოლიტიკური ძალაუფლების პროლეტარიატის ხელში გადასვლა.

ასეთი იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახე თავისი მიმართულებით ომის პროცესში. ომმა და რევოლიუციონურმა მოძრაობამ სამ პარტიად დაყო სოც.-დემოკრატია და მთელი მეორე ინტერნაციონალი. ამ ორგანიზაციის წიაღიდან წარმოიშვა სამი პარტია სხვა და სხვა პროგრამით და მეთოდებით. რეფორმისტები ძველის გზით შეუდგნენ სვლასა და აღადგინეს ომის ზეგავლენით დარღვეული მეორე ინტერნაციონალი. ცენტრისტები დამოუკიდებელ პარტიის სახით ჩამოყალიბდნენ და 1921 წელში ვენაში ნიადაგი ჩაუყარეს ე. წ. 2 ნახევ. ინტერნაციონალს. მემარცხენე ფრთამ რუსეთის ბოლშევიკების მეთაურობით დიდი იდეური გარდატეხა შეიტანა სოციალისტების აზროვნებაში და 1919 წელს ჩამოაყალიბა კომუნისტური ინტერნაციონალი.

ამ სხვა და სხვა სახის ინტერნაციონალის ჩამოყალიბებით ვერ დამთავრდა სოციალური აზროვნების დიფერენციაცია. საქმე იმაში იყო, რომ ცენტრმა, რომელმაც დამოუკიდებელი პარტიის სახელწოდება მიიღო, და მთელმა ორნახევარმა ინტერნაციონალმა ვერ მონახა მტკიცე ნიადაგი და შეუჩერებლივ ქანაობდა რეფორმისტებსა და კომუნისტებს შორის. პარტია, რომელიც მოკლებული იყო აქტიური პოლიტიკის შეგნებას, მთელს თავის იმედებს გარეშე პირობებზე ამყარებდა, კვლავ განაგრძობდა ნიადაგის სინჯვასა და პირობებთან შეგუების პოლიტიკის წარმოებას.

პირველ ხანებში დამოუკიდებელთა პარტიას ბლომად გაჰყვა ის რევოლიუციონური ელემენტები, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ სოც. დემ. პოლიტიკით. ამ ძალების ზეგავლენით დამოუკიდებელთა პარტია უფრო კომინტერნისაკენ იხრებოდა და საბჭოთა სისტემას დიდი სიმპატიით ეპყრობოდა. 1919—20 წლებში დამოუკიდებლებმა თავიანთი წარმომადგენლებიც გაგზავნეს კომინტერნის კონგრესებზე, საერთო პლატფორმის გამოსამუშავებლად. მაგრამ იქ წამოყენებულმა პირობებმა დააშინა ამ პარტიის ბელადები და საკუთარი ორგანიზაციის შექმნას შეუდგნენ. ინტერნაციონალის საკითხმა და საერთო რევოლიუციონური პროგრამის გამომუშავებამ დამოუკიდებელთა პარტია ორ მოწინააღმდეგე ჯგუფად გაჰყო და 1920 წელში გალეს კონფერენციაზედ მათ გამოეყო უმეტესი ნაწილი და შეუერთდა კომპარტიას. ამ გარემოებამ ძლიერ დაასუსტა დამოუკიდებელთა პარტია და ბატონობა ნახევრად რეფორმისტებს ჩაუვარდათ ხელში. მზგავსი აგონია და დაშლა განიცადეს სხვა ქვეყნების დამოუკიდებელმა პარტიებმაც. მათმა უმოქმედობამ და პასიურობამ ჩამოაცილა ამ პარტიებს რევოლიუციონური ელემენტები, რომელნიც თანდათან გადადიოდნენ კომინტერნის რიგებში.

დამოუკიდებელთა პარტიის დასახასიათებლად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს პარტია, როგორც შეგუების პოლიტიკის მატარებელი, რევოლიუციონურ პერიოდში აყვა რევოლიუციის ტალღებს, მაგრამ როცა რევოლიუციონური ენტუზიაზმი მინელდა და კაპიტალი თავდასხმის ტაქტიკაზედ გადავიდა მუშათა მიმართ, დამოუკიდებლებმა მორიგების პოლიტიკა წამოაყენეს და კოალიციონური მთავრობა მოითხოვეს.

დღეს ეს პარტია უკვე დაუბრუნდა თავის ძველს ოჯახს, სოც.-დემოკრატიულს პარტიას, საიდანაც ის წამოვიდა ამ ხუთიოდე წლის წინად და თან წამოიღო მისი რეფორმისტული შეგნება. სექტემბრის რიცხვებში დამოუკიდებელთა ყრილობამ გერაში დაადგინა დიდი ხმის უმეტესობით შეუერთდეს გერმანიის სოციალ-დემოკრატიას. ამ დადგენილების წინააღმდეგ გაილაშქრა ძველმა რევოლიუციონერმა გიორგი ლედებურმა. მან აღნიშნა, რომ მემარჯვენე სოციალისტებთან გაერთიანებით, დამოუკიდებელი პარტია კავშირს წყვეტს თავის რევოლიუციონურს წარსულთან [illegible] აზრით, მტკიცება, თითქოს გაერთიანება სოც.-დემოკრატიასთან ნიშნავდეს პროლეტარიატის გაერთიანებას, არის მასების განწყობილებით სპეკულიაცია. ლედებურმა, ლიბკნეხტმა და ოშუხმა უარი განაცხადეს შესულიყვნენ გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულს პარტიაში.

თავის მხრით სოც.-დემოკრატიამ აუგსბურგის კონფერენციაზედ დაადგინა გაერთიანებოდა დამოუკიდებლებს. სექტემბრის 4 ს ნიურენბერგში უკვე მოხდა გაერთიანებულ პარტიის ყრილობა რომელმაც ერთის მხრით ლიკვიდაცია მოახდინა დამოუკიდებელთა არსებობისა და მეორეს მხრით გაერთიანებული სოც.-დემოკრატია განამტკიცა.

ამ აქტით არა მარტო გერმანიის პოლიტიკურ რუქიდან, არამედ მთელი მსოფლიოს ცხოვრებიდანაც აღმოიშალა ის პარტია, რომელიც გაუგებრობის მეტი არაფერი შეჰქონდა სოციალისტურს ვითარებაში. პროცესი დამოუკიდებელთა დაშლისა და მათი ლიკვიდაციის თავისი ტემპით გრძელდება სხვა ქვეყნებშიაც, ამით საფუძველი გამოეცლება 2 ნახ. ინტერნაციონალის არსებობასაც და პარტიათა დიფერენციაცია ნორმალურს კალაპოტში ჩადგება.

როგორც აღვნიშნეთ, დიდი ნაწილი დამოუკიდებელთა მემარცხენე ფრთისა უკვე გადავიდნენ კომინტერნის რიგებში. დღევანდელი სკანდალური დადგენილება ხელს შეუწყობს, რომ დამოუკიდებელთა წრეებში დარჩენილნი ელემენტებიც გადავიდნენ რევოლიუციონურს ორგანიზაციებში.

დღეს ფაქტიურად ძალა ორი ინტერნაციონალის ხელში რჩება: ლონდონისა და მოსკოვის. გაუგებრობასა და მერყეობას ამიერიდან არ ექნება ადგილი. მომქმედმა ელემენტებმა ან ერთ ორგანიზაციაში უნდა ჰპოვოს თავისი ბინა, ან მეორეში. [illegible]

ნიურნბერგის ყრილობა

დამოუკიდებლების და სოც.-დემ. მეუმრავლესეთა გაერთიანებული ყრილობა ნიურენბერგში. 24 სექტემბერს, ნიურნბერგში შესდგა გაერთიანება დამოუკიდებლებისა სოც.-დემ. მეუმრავლესეთა პარტიასთან. რათა სიმბოლიზაცია ეყოთ ამ გაერთიანებისთვის, ორივე პარტიის ვეტერანებმა ჰოფანკოუტი (ს.-დ. მეუმრავლ.) და ბოკი (დამოუკიდებელი) ავიდნენ ტრიბუნაზე და ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

ნიურნბერგის ყრილობის თავმჯდომარეებათ არჩეულ იქნენ ველსი და დიტმანი. შემდეგ ამორჩეულ იქნა საპროგრამო კომისია კაუცკის თავმჯდომარეობით. ამ კომისიაში შედიან სოც.-დ. მ მხრით ბერნშტეინი, ბრაუნი, მოლკენბური, გერმან მიულერი, შტამფერი, ლოიტერიფსი, კვარკი, ფრიმელი, ხოლო ყოფილ დამოუკიდებელთა მხრით—გილფერდინგი, დიტმანი, გენკე, კრისპინი, ტონი ზენდერსი და ზეგერი. პარტიის თავმჯდომარეებათ არჩეულ იქნენ ველსი, გერმან მიულერი და კრისპინი; მდივნებათ: ა. ბრაუნი, დიტმანი, კრიუგერი და მოლკენბური.

ველსმა საბოლოო სიტყვაში, სხვათა შორის სთქვა, რომ გერმანიის გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული პარტია მთელი ძალებით მხარს დაუჭერს გერმანიის რესპუბლიკას, აფრთხილებს რა მუშებს „კომუნისტურ შეცდენისაგან". პარტიაო, სთქვა შემდეგ ველსმა, იძლევა მტკიცე დაპირებას, რომ გერმანიის ხალხი მთელი ძალებით შეეწყობს ხელს საფრანგეთის აღდგენას; პარტია მოითხოვს შეჩერებულ იქნეს ბოროტი პოლიტიკა გერმანიის მეტისმეტი დაშინებისა და ძალადობითი საშუალების ხმარებისა მის მიმართ.

ამის შემდეგ გამოსული უცხოელი სტუმრები ამონმა (ინგლისი) და მორელმა (საფრანგეთი) დაარწმუნეს ყრილობა გაერთიანებულ პარტიისადმი მათი თანამემამულეების თანაგრძნობაში. „ფორვერტსი" და „ფრეიჰაიტი" სპეციალურ დამატებებში ბეჭდავენ მილოცვას მე 2 ინტერნაციონალიდან და აგრეთვე სხვა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა მისასალმებელ სტატიებს.

„ფრეიჰაიტი" 1 ოქტომბერს იხურება მისი რედაქტორები—შტეინი და ფრიზლანდი—გადადიან „ფორვერტსში".

პრესის გამოძახილი. „ფრანკფურტერ ცაიტუნგი" გამოსთქვამს თავის კმაყოფილებას გაერთიანების გამო, მაგრამ იქვე გამოსთქვამს გაერთიანებულ პარტიაში მარჯვენა და მარცხენა ფრთების გაშორების შესაძლებლობის გამო. გაზეთი ესალმება გაერთიანებას, როგორც კომუნისტების მეტოქეს. საწინააღმდეგოდ რეაქციონური „ლოკალ ანცაიგერი" დასცინის დიტმანის „მემარჯვენე" ფრთას: იყვნენ რა ისინი შევიწროებულ ფინანსიურ მდგომარეობაში, ისინი დათანხმდნენ შეიდემანელებთან ქორწინებას ანგარიშიანობის თვალსაზრისით, მაგრამ ამავე დროს სიყვარულს უხსნიან კომუნისტებს. ეს გაზეთიც აღნიშნავს უთანხმოების შესაძლებლობას მარჯვენა და მარცხენა ფრთებს შორის.

„როტე ფანე" სწერს: ნიურნბერგის გაერთიანება სცვლის მუშათა კლასის მთელ პოლიტიკურ მდგომარეობას. ახლა, როდესაც მოთავებულია ყოველგვარი ნახევრობა, გაწმენდილია არის გზა ყველაზე სერიოზულ იდეურ ბრძოლისათვის, რომლის გადატანაც კი შესძლებია გერმანიის პროლეტარიატს, ეს ბრძოლა გაერთიანებულ ს.-დ. და კომუნისტურ პარტიებს შორის გერმანიაში აღნიშნავს გერმანიის რევოლიუციის ბედის გადაწყვეტას.

ნარკვევი

პოლიტიკური პარტიები იაპონიაში.

მოგვყავს ზოგიერთი ცნობები თანამედროვე იაპონიაში არსებულ პოლიტიკურ პარტიების შესახებ იაპონიის ცნობილ კომუნისტის ამხ. კატაიამას წერილიდან, რომელიც მოთავსებული იყო გაზ. „პრავდის" № 210 ში.

იაპონიის პარლამენტში 468 წევრია. მათგან სეიუკაი არის 281 კაცი, კარ-

ხენკაი 109 კაცი, კოკუმინტო 30 კაცი, უპარტიოთა მირეული ჯგუფი—25 კაცი, დანარჩენი—17.

ყველაზე ძლიერია მემამულეთა და კაპიტალისტთა პარტია სეიუკაი. მისი ლიდერია მარკიზი სიონგი. ეს პარტია წინააღმდეგია საყოველთაო არჩევნებისა და უკანასკნელ დრომდი იცავდა ციმბირის და აზიის სხვა ტერიტორიების ოკუპაციას. პარტია აგებულია დემოკრატიულ პრინციპზედ და ამიტომ ხშირად იცვლის ლიდერებს. ამ შინაგანი დემოკრატიზმით უნდა აიხსნას პარტიის ზრდა უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში: ვისაც კი ნიჭი და უნარი აქვს, თავისუფლად შეუძლია ავიდეს პარტიის მაღალ პოსტებზედ.

კენსეიკაი არის ბიუროკრატიული პარტია, რომელიც შეადგინა პრინცმა კაცურამ და ცდილა იცავს ვაჭრობა-მრეწველობის მაგნატთა ინტერესებს. კაცურას შემდეგ ამ პარტიის სათავეში ედგა მარკიზი ოკუმა და შემდეგ—ვიკონტი კატო, ეხლანდელი მისი ოფიციალური თავმჯდომარე (ეს არაა ადმირალი კატო, ეხლანდელი პრემიერი). ერთ დროს, კენსიკაი იბრძოდა საყოველთაო არჩევნებისა და ციმბირის ევაკუაციისათვის.

კოკუმინტოს სიძლიერით მესამე ადგილი უჭირავს პარლამენტში. ის დაარსდა 1910 წელს და იცავს ნავთმრეწველ ფირმების ინტერესებს. ის მუდამ მოითხოვდა საყოველთაო არჩევნებს და ციმბირის ევაკუაციას. დახმარებასაც კი უწევდა ჩინეთში სარევოლიუციო პარტიებს. მისი ხელმძღვანელი და ფაქტიური დიქტატორი არის იკუკაი. პარტია მოკლებულია შინაგან დემოკრატიზმს და ამიტომ არ იზრდება: არის დროს არ ჰყოლია პარლამენტში 30—35 წევრზედ მეტი. კოკუმინტო და კენსეიკაი იცავენ კონტინენტალურ პოლიტიკას.

უპარტიოთა ორივე ჯგუფი მოკლებულია რაიმე გარკვეულ პოლიტიკურ პლატფორმას და არც გარკვეული მომხრეები ჰყავთ.

არის აგრეთვე სხვა ჯგუფიც: კენრიოტო, ანუ ბოხედეთა ჯგუფი. მისი დამაარსებელი იყო პრინცი იტო, ლიბერალური სახელმწიფო მოღვაწე, მომხრე ევროპეიზაციის და ცენტრალისტური სახელმწიფოსი. [illegible]

იტოს შემდეგ კენრიოტოს სათავეში ჩაუდგა იამაგატა. შეიძლება ითქვას, რომ იაპონიას განაგებს კენრიოტო, რომელსაც მჭიდრო დამოკიდებულება აქვს კაპიტალისტებისა და ფეოდალების წარმომადგენლებთან.

კენრიოტოს გარდა არის აგრეთვე ორი ოპოზიციური პარტია ანუ კლიკა. ერთი იცავს არმიის ინტერესებს, მეორე ფლოტის ინტერესებს. პირველს ხელმძღვანელობს პრინცი იამაგატა. ეს ჯგუფი დაკავშირებულია მსხვილ კაპიტალისტებთან და მუდამ იცავდა არმიის გადიდებას.

მეორე ჯგუფს ანუ ფლოტის კლიკას ხელმძღვანელობდა იამამოტო, მაგრამ იძულებული გახდა გადამდგარიყო და მისი ადგილი უჭირავს ეხლანდელ პრემიერს კატოს.

იაპონიის პოლიტიკურ ცხოვრებას ახასიათებს ანტაგონიზმი ამ ორ ჯგუფთა შორის. ბიუჯეტის შემუშავების დროს ესენი იბრძვიან, მაგრამ ერთად გამოდიან, როცა საკითხი შეეხება ქვეყნის ექსპლოატაციას მათი გამაერთიანებელი კენრიოტოს ხელმძღვანელობით.

მთავრობის ირგვლივ მუდამ ეს ორი კლიკა იბრძვის. ასე მაგალითად ფლოტის კლიკამ დაამარცხა კაცურას კაბინეტი და წამოაყენა მის ადგილზედ იამამოტო. ამ უკანასკნელს აუხდენდა არმიის კლიკა, გამოაშკარავა რადგანაც კომბინაციები და იძულებულ ჰყო გადამდგარიყო. შემდეგ არმიის ინტერესებს წარმოადგენენ ოკუმა და ტერაუჩი, მაგრამ ციმბირის პოლიტიკის გაკოტრებამ დაამარცხა ტერაუჩი და მისი ადგილი უჭირავს ეხლა კატოს, რომელიც ფლოტის წარმომადგენელია და ეყრდნობა სეიუკაის პარტიაზედ.

იაპონიაში საარჩევნო ხმის უფლება აქვს ვინც იხდის 3 იენს. ასეთებია 3 მილიონამდე 60 მილიონ მცხოვრებთაგან. ხმებით ვაჭრობა ჩვეულებრივი მოვლენაა იაპონიაში, თუმცა კანონით სასტიკად აკრძალულია. ვინც მეტს დახარჯავს, მეტი შანსი აქვს არჩევისა.

ბოლო დროს გაძლიერდა მოძრაობა საყოველთაო არჩევნების სასარგებლოდ, მაგრამ მისი განხორციელება პარლამენტის საშუალებით თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან იქ გაბატონებულია ამ რეჟიმის მოწინააღმდეგე პარტია.

ამ რიგად იაპონიას განაგებს არა ხალხი და არც პარლამენტი, არამედ კაპიტალისტების, ტრესტების, არა-

ზოგი რამ

ა. ხაშმი

ყველგან მაღლარია შემოვლილი და, [illegible]დენ, ხაშმიანი ადგილია ციებ-ცხელება იცის. ასეთი ციება აღმოსავლეთში უფრო კახეთმა იცის, დასავლეთში კი უფრო ქვემო იმერეთმა, ოდიშმა და გურიამ. მალარია საშინელი მტერია ჩვენი ხალხისა და ჯანმრთელობის კომისარიატს სამართლიანად განუზრახავს ბრძოლა.

როგორც მოგეხსენებათ ხაშმი პირდაპირ მუსრს ავლებს დასავლეთ საქართველოს [illegible], მაგრამ [illegible] მდგომარეობაზე უნდა ვსთქვა შემდეგი. ნესტიანი ჰავა დასავლეთ საქართველოში ძველად უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ტყე უფრო ხშირი იყო. თუმცა ასე იყო, ხორბალი თუ არა, ვაზი მაინც სცოდნია კაი ჯიშისა. [illegible] ოჯალეში და [illegible] ჩხავერი განთქმული ყოფილა, რადგანაც ჩინებული ღვინო დგებოდა. შეიძლება ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ვაზი მაღლარი იცოდენ ხეზე გაშვებული, მაგრამ ძველად ყანებს და კარმიდამოს ღრმა თხრილებს უკეთებდენ გარშემო და ყოველ წლივ სწმენდენ, რომ ნაწყალევი თუ ნაწვიმარი არ დამდგარიყო. დღეს კი ცოტა რომ ხანგრძლივ იწვიმებს, ქვემო იმერეთს, ოდიშს და გურიას წყალი დაფარავს, კარმიდამო ტბაში მოექცევა ისე რომ ზოგჯერ მიმოსვლაც გაძნელდება. ხაშმს წამლობა უნდა, მაგრამ გარემოება ხსენებულ თემებში თუ ძველებური დარჩა, საეჭვოა, ხაშმი ამოაგდოს ქინაქინამ. ოდიში ძველადაც გამოსადეგი არ ყოფილა ხორბლის მოსაყვანად, რადგანაც ოდი სცოდნია. ე. ი. ყანის წახდენა მზის სიცხისაგან ნაწვიმარზე.

ბ. მთვარი და ნაგავი

წმინდა ჰაერის სასუნთქად ზაფხულობით მთა და კურორტული ცხოვრება შემოსულია შეძლებულ ხალხში. დღეს პროლეტარიატისთვისაც შესაძლებელი გახდარა ცხოვრება საგრილში სადაც სამკურნალო წყლები და სანატორიები არის. უწმინდური ჰაერი განსაკუთრებით ქალაქის მტვერ ნარევი (დამიანის დამღუპველად მიუჩნევიათ ექიმსაც, რომელსაც ცოტა რამე გაეგება მაინც აქვს. ჩვენ კი ვერ მოგვიხერხებია ჰაერი სუფთა ვიქონიოთ და მოვიშოროთ სიმყრალე, რომელიც ეზო-ეზო და შემოუკავებელ ჟუჟუნ-ჟუჟუნ დაგროვილ ნაგავს გამოჩნის ჩახვრეტებისაგან. ქალაქის ქუჩები იწმინდება, როცა კარგად გათენებულა, სწორედ მაშინ, როცა კომუნის თაიგული გოგონები და ბიჭუნები სკოლაში მიეშურებიან. ისეთი კორიანტელი დგა იმ დროს ქუჩებში მენაგვის ცოცხით აყენებული, რომ გამვლელს სუნთქვა ვერ მოუხერხებია და იძაბრება. დუქნების პატრონებიც არ აკლებენ ხელსა. ჰხედავთ, ნაყიდი, ყასბის ერთნაირად [illegible] დუქნებს, სადაც ახალი ხორცია ჩამოკიდებული და ათასნაირი ხილია გამოფენილი. იმის ხაბარი კი არა აქვთ, რომ იმ ხორცსა და იმ ხილს მტვერი ეყრება. ამას გარდა დღის განმავლობაში ხშირად მენაგვე ქურთები, ქალი თუ კაცი დიდი თუ პატარა [illegible] ნაგავს მიეზიდებიან, ჰოი საშინელებავ, მხარზე გადაკიდებულად, წყლის [illegible], ხოლო ვიდრე გადაყრიდენ გზა და გზა ეცენტებათ, რადგანაც ტომრებს სიძველისაგან [illegible]. განათლებულ ქალაქებში ასე რო[illegible] მიწყურდა და მალაზიებიც [illegible]. [illegible] წინა დღის ნაგავი [illegible] ქალაქის მცხოვრებ ჩინოვნიკების ცხენშებულ სახლში, რომელსაც კარდაკარ [illegible], ნუ თუ არაფერი ეშველება საქართველოს ტფილისსაც შეუძლებია გაიქცეს, თუ თავი სნობია იქნება.

ქართველო მშრომელო, მოითხოვე ღონისძიებები, ქუჩები და მაღაზიები არ დაჰგვონ, რომ მტვრიანი ჰაერი არ ისუნთქო, ნაგვიანი ხორცი და ხილი არ სჭამო და ნაგავი ქუჩაში არ დაყარონ, ტომრებით ქურთებს არ ათრევინონ, რომ მყრალი სუნით არ მოიწამლო. მოითხოვე აგრეთვე, გაზეთი წვრილი შრიფტით არ ჰბეჭდონ, რომ მისი კითხვით უდროოდ თვალთ არ დაგაკლდეს შენ და შენს შვილებს, ცუდი პური არ აცხონ, რომ მისი ჭამით კუჭი არ დაგიზიანდეს. ხელისუფლება, რომელიც შენი სახელით განაგებს ქვეყანას, ვალდებულია გასცეს ჯეროვანი განკარგულება. უპირველესად ყოვლისა ეძიე ჯანმრთელობა, რომ ცხოვრების უკუღმართობასთან ბრძოლა ადვილად შესძლო და მით შენი ბედნიერი მომავალი უზრუნველჰყო. ჯანმრთელობის გარეშე ყველაფერი ფუჭია.

გ. დიდქალაქი კურორტი.

დიდქალაქი რომ დიდ ტყიანი ყოფილა ძველად, არა თუ მატიანე მოწმობს, არამედ მე შემხვედრია ოთხმოციანი წლების დამდეგ მოხუცებული ხალხი, რომელსაც უთქვამს ჩემთვის შვილო, ბავშვობაში ისეთი ტყე იყო, რომ საშენი ფიცარი გამოდიოდა.

ტფილისი ვიდრე დიდქალაქად იქცეოდა, ერქვა კალა (იგივ ქალა), რაიც ჰნიშნავს თხემს, სადაც, როგორც მაღლობ ადგილზე, იყო ციხე სიმაგრე. თავისი უდაბური ტყეების მდებარეობის გამო კარგი სანადიროც იყო. დღემის მინდორ ველიდან ლტოლვილი ირმები ტფილისის მახლობელ ტყეებს თავს[illegible], ასე რომ მცხეთის დიდკაცობა ნადირობას ტფილისის სანახებში მართავდა. თქმულება არის, ერთი ასეთი ნადირობის დროს ფარნავაზს მოუკლავს რამ ირემი ტფილისის ღრანტეებში, იქვე უპოვია გამოქვაბული განძეულობით სავსე, ხოლო ვახტანგ გორგასლანს მოუკლავს ხოხობი, რომელიც ცხელ ტბაში ჩავარდნილა. რაკი ცხელი ტბა მადნეული ყოფილა და ხალხსაც ქალაქს ეტანებოდა გასაშენებლად, ვახტანგ გორგასლანს ქალაქი (კალა) დედაქალაქად გამოუცხადებია და ტახტი მცხეთიდან აქ გადმოუტანია.

უწინ ტფილისმა არც მტვერი იცოდა, არც ქარი. დღეს კი ერთიც და მეორეც ხშირია და დიდი წვიმის დროს ტოვარდნილი ნიაღვარი ხომ ქუჩებს ავსებს გარემო შიშველი მთებიდან ჩამოტანილი ნალექ-ლამით. ნიაღვრის ჩამოტანა უკანასკნელ ხანებში არა თუ გახშირდა, არამედ ძლიერებითაც გაძლიერდა ისე, რომ ზოგიერთ ქუჩას აფარია [illegible] ზე არა ნაწილები. მაშასადამე თუ ასე ძლიერ [illegible] ნიადაგის შლიდი, შეიძლება ქუჩები პირდაპირ ნიაღვრით აივსოს და [illegible] ეშველოს.

რაკი ყველასათვის ცხადია, რომ ამ მოვლენის ძირითადი წყაროს მიზეზი ტყის გაჩეხვა და მისი მოშალობა, შეიძლება მხოლოდ ტყის გაშენებით დედაქალაქის გარემო მთებზე, ასე ვსთქვათ, ტფილისის გატყიანებით, სატყეო კომიტეტს განუზრახავს ეხლავ შეუდგეს საქმეს. აზრი განზრახულია, საამურია, მაგრამ გვშორდება, აქ მოვიყვანოთ ძველი რუსის ქალაქის მუნიციპალიტეტის ერთი საგმირო პროექტი, რომელიც ეხებოდა ტფილისის კურორტად გადაქცევას ბალნეოლოგიური სადგურის გამართვით მადნეული წყლების რაიონში, სადაც უნდა გაშენებულიყო სამაგალითო ბაღნარი და თავისუფლების მოედნიდან გაყვანილიყო პროსპექტი. მაშინ ამ პროექტს აბრკოლებდა კერძო მამულის გვერდისების (ნაცვალიშვილის) საკითხი, მაგრამ არც ხაზინას ემეტებოდა ფული, თუმცა იძულებითი შესყიდვა კანონით ნებადართული იყო ქალაქის გასამშვენიერებლად.

ჩვენ ვცხოვრობთ გაბედული პროექტების ხანაში და რაკი ტფილისის კურორტად გადაქცევის საკითხს [illegible] კავშირი აქვს ტფილისის გატყიანების საკითხთან, სატყეო კომიტეტი საშინლად მადლობას დაიმსახურებს, თუ ჯანმრთელობის კომისარიატთან ქალაქის აღმასრულებელ საბჭოსთან დაიჭერს კონტაქტს და საერთო ღონის ძიებით განახორციელებენ დიდ სახალხო საქმეს, რომელიც არა თუ გააჯანსაღებს მშრომელ ხალხს და გაამშვენიერებს დედაქალაქს, არამედ შემოსავლის წყაროდაც გადაიქცევა.

მაშ ხელი მოჰკიდეთ საქმეს, რომ მისი დამგეგმავების მნახველმა ჩვენმა მშრომელმა ხალხმა თავისი დიდებული შვილის შოთა რუსთველის პირით სთქვას.

შაბაშ კაცი, შაბაშ სიტყვა,
შაბაშ საქმე მისგან ქმნილი!

პეტრე მირიანიშვილი.

ახლო აღმოსავლეთი

მუდანიის კონფერენცია.

მოსკოვი. 7 ოქტ. სტამბოლის და ანგორის არმიის შტაბებმა გამოუშვეს ოფიციალური ცნობა მუდანიის კონფერენციის პირველი დღის ნაყოფიერად ჩატარების შესახებ.

— მუდანიაში ხელი მოაწერეს წინასწარ ხელშეკრულებას, სადაც გათვალისწინებულია ბერძნების მიერ ფრაკიის ევაკუაცია ადრიანოპოლამდე ცხრა დღის განმავლობაში.

ქემალისტები სტამბოლში.

მოსკოვი 7 ოქტ. ქემალისტები მზად არიან დასტოვონ სტამბოლი მოკავშირეების ხელში სანამ მოლაპარაკება [illegible] დამთავრდება ამ პირობით, თუ იქ მოეწყობა [illegible] სამოქალაქო ადმინისტრაცია.

ვენიზელოსის გეგმა.

რომი. 6 ოქტ. იტალიის პრესა აცხადებს ვენიზელოსის გეგმას, რომელიც [illegible] მოთავსებულ წერილში. ვენიზელოსი ფიქრობს, რომ ფრაკიამ შეინარჩუნოს საერთაშორისო ადმინისტრაცია მოკავშირე ჯარების კონტროლის ქვეშ, რომელთაც [illegible] ნეიტრალური ზონა.

ვენიზელოსის [illegible] ინგლისის პრესა, რომელიც ფიქრობს, რომ [illegible] შეუძლია [illegible] აღმოსავლეთში.

ზმანების ფერხული

ამაოდ ეძებს თვალი კეკლუცად
შენს წმინდა პროფილს ტკბილ რუსთაველით.
ტყუილ მირაჟებს ამტვრევს ის ლუწად
და იხნიქება როგორც თაველი.

დღეს ნერვიულად მეფარავენება
ქარის სიორთქლე სევდით შერხეულს.
შენი სიუზხე სურნელ ზმანებად
ოცნების ფურცლით უვლიან ფერხულს

მაღელვებს შენი ალერსი დინჯი.
უკვე დამსეტყვა სევდების განცდამ.
ო, ვიცი კარგად რომ ხარ მახინჯი,
მაგრამ უფერულს ლხენა არ აგცდა.

ნინინ წერეთელი.

თქმულება მშვენიერებაზე

(ქართული ლეგენდა, ჩაწერილი ფრანგ ბარონ დე ბაიე (de Baye) მიერ საქართველოში).

შორეულ დროებში, ოდესღაც დედოფალი მეფდანა ცხოვრობდა და თავის მდიდარ ქვეყანას ბრძნულად განაგებდა. ქმარი ადრე მოუკვდა და მისი ერთად ერთი ნუგეში და სიხარული, მისი ვაჟი, როსტომილა იყო.

დედას გაგიჟებით უყვარდა იგი, და ნეტარებით შეჰყურებდა. ბავშვი ყოჩაღი, თანდათან მშვენიერ ჭაბუკათ იქცეოდა და გონებითაც ყველა მის ტოლთ სჯობდა.

მაგრამ, რადგანაც დედა უკვირდებოდა თავის ვაჟის ხასიათს, ამჩნევდა, რომ იგი ხშირათ ძალზედ სევდიანობდა, ყოველად უმიზეზოთ. მთლად სევდამ მოიცვა იგი და მის ჭკუნვას ვერ ფანტავდა ვერც მძაფრი ჯირითი, ვერც ველურ ფრინველთა თავდასხმა სამშობლო მიწაზედ, ვერც ნაზნარი სიმღერები, ვერც შავ წამწამებიდან მოკიაფე თვალთა გამოხედვა.

უხმოთ, ჩაფიქრებითა და მოწყენით გამოეთიშებოდა ხოლმე იგი მძინარე ბაღჩის ხეივანში, ოცნებას თავდავიწყებამდე ეძლეოდა. ერთხელ დედამ გადასწყვიტა მისი ვაჟის უსაზღვრო დასევდიანების მიზეზი გაეგო.

— ჩემო საყვარელო შვილო, ჰკითხა დედამ, გულახდით მითხარი, რა არის ის საშინელი ფიქრი, რომელიც როგორც [illegible] შენს გულსა და მშვენიერ სახეზედ ღიმილს გიფანტავს?

— დედა, უპასუხა ჭაბუკმა, მე შენ გამაგებინე, სიმართლე მითხარი და არ დამიფარო, სადაა მამა?

— მამა შენი? ის დიდიხანია მოკვდა საყვარელო შვილო.

— მოკვდა? რას ნიშნავს ეს? მე არ მესმის ეს სიტყვა და არც მისი შინაარსი ვიცი.

— ჩემო შვილო, უპასუხა დედოფალმა, იცოდე, რომ ჩვენ ყველანი მიწიდან შევიქმენით და მიწასვე უნდა დავუბრუნდეთ. ყველასათვის დადგება ისეთი წუთი, როდესაც დედა-მიწა თითოეულ ჩვენგანს, როგორც თავის საკუთრებას თავის წიაღში ჩაგვიკრავს და ეს, ჩემო შვილო, ამას ეწოდება სიკვდილი.

— როგორ! წამოიძახა ჭაბუკმა, ნუ თუ ჩვენ ღმერთმა მისთვის მოგვანიჭა სიცოცხლე, რომ ისევ წაგვართვას და ჩვენ ისევ მძორებათ გვაქციოს? არა, არ შემიძლია, ვერ დავიჯერებ! მე არ მინდა სიკვდილი და ვიცი, რომ არის, რომ უნდა იყოს ისეთი ქვეყანა, სადაც მუდამ სიცოცხლე სჩქეფს და ხალხი არ კვდება. და მე მოვძებნი ასეთ მხარეს, აქ არ დავრჩები, საყვარელო დედავ! მაპატიე, რომ შენ გტოვებ, მაგრამ მე უსათუოთ უნდა დაგტოვო, მაპატიე!

საბრალო დედა ძალზედ გაწუხდა, დაჟინებით ემუდარებოდა შვილს დარჩენა! ცხარე ცრემლებით ღვრიდა: მაგრამ ჭაბუკმა ყური არ უგდო დედის ვედრებას, ერთხელ მძლავრათ ჩაიკრა გულში და წავიდა.

დიდ ხანს იხეტიალა მეფის ვაჟმა, დიდხანს ეძიდა იგი ქვეყნის სხვა-და სხვა კუთხეებს, მაგრამ უკვდავეთა ქვეყანას ვერ მიაგნო. ბოლოს იგი გავიდა ყრუ, უდაბნოს მზგავს ველზედ და ხედავ, რომ ამ თვალუწვდენელ სივრცეზედ, მოწმენდილ და მოელვარე ცის ქვეშ დგას ერთი ირემი, რომელსაც თავისი რქები ცისკენ აეშვირა. და ირემმა ჰკითხა ჭაბუკს:

— ვის დაეძებ ამ ყრუ უდაბნოში მშვენიერო ჭაბუკო და რა გსურს შენ? მითხარი!

— მე უკვდავეთა ქვეყანას ვეძებ.— იყო პასუხი.

— უკვდავეთა ქვეყანას? სად შეგიძლია მოიძებნო იგი? ის არ არსებობს, მაგრამ იცოდე: ხედავ ჩვენს ზემოთ უსაზღვრო ცის სივრცეს? და აი, მე მედიდან მისჯილი მაქვს, რომ ვიდგე ამ ტიალ მინდორზედ განუწყვეტლივ და ვიცოცხლო მანამ, სანამ ჩემი რქები ზეცას არ მიებჯინება. იფიქრე, რამდენი საუკუნე უნდა იზარდოს მან, რომ ზეცას მისწვდეს! თუ გსურს, დარჩი ჩემთან იმ შორეულ წუთამდე და მთელ ამ ხნის განმავლობაში—პირობას გაძლევ—შენ უკვდავი იქნები და იცოცხლებ მანამდე, სანამ ჩემ მაწვერი დანიშნულებას არ შევასრულებ. დარჩი!

— დავრჩე? ო, არა, არ მინდა! არა ასეთ საუკუნეთა განმავლობაში სიცოცხლე უკვდავება და მე კი მინდა სრულებით უკვდავი ვიყო. მშვიდობით!..

ჭაბუკი წავიდა.

და მივიდა იგი ერთ გაველურებულ ადგილას, სადაც კლდოვან მთის მწვერვალთა თხემები ღრუბლებში იმალება და თვალუწვდენელ უფსკრულებით იმიჯნებიან.

ერთ-ერთ უმაღლეს მთის მწვერვალზე, ღრმა თვალუწვდენელ უფსკრულის წინ ბებერი ყორანი იჯდა უძრავათ.

— რისთვის მოსულხარ შენ აქ— ჰკითხა ყორანმა—ამ ველურ ადგილას და რას დაეძებ აქ მიპასუხე!

— მე უკვდავებას ვეძებ.

— ო, სულელო! სად შეგიძლია შენ მისი პოვნა? იგი ხომ არ არსებობს ამ ქვეყანათ... მაგრამ ჩაიხედე ამ უსაზღვრო საშინელებით მოცულ უფსკრულში, რომლის ბოლოსაც ეხლა მე ვზივარ და იცოდე, რომ მე მიბრძანებული მაქვს მისჯილი სიცოცხლე, სანამ ჩემი საკუთარი ნისკარტით ამ თვალუწვდენელ უფსკრულს კენჭების სათითაო ტყორცნით და ქვებით არ ამოვავსებ. თუ გსურს ჩემთან დარჩენა, დარჩი და მანამ, სანამ უფსკრული უფსკრულივე იქნება, სანამ მასში პატარა კენჭისთვისაც კი პაწაწინა ადგილი დარჩება,—შენ იცოცხლებ. დარჩი!

— ო, არა, მე არაფრისთვის არ დავრჩები, შენ გსურს მე შემაცდინო. რა ფასი აქვს წლებსა და საუკუნოებს? მე სრულ უკვდავებას ვეძებ და კიდევაც მალე ვპოვებ მას. მაპატიე!..

ჭაბუკი კვლავ გზას გაუდგა.

დიდხანს იარა მან და ბოლოს მიაღწია ხმელეთის კიდეს. უსაზღვრო, საკვირველი ზღვა, საკვირველ ცისფერ ყელსავით ბრწყინავს მის წინ და გაშმაგებული, ლურჯი ტალღები—რომლებიც თეთრ თოვლისფერ ქაფებით იფშხვნებიან, საკვირველი ტონ-ტონით ელერსებიან ნაპირებსა და მის ფერხთა ქვეშ ნაზი რხევით—ჩურჩულით წყდებიან. და იქ კი—უსაზღვრო სივრცეში, იმ ზღვის გადაღმა, შორს-შორს, მკრთალ ვარდისფერ მოელვარე ბურუსში, როგორც განთიადის [illegible], საკვირველი სასახლე, საოცნებო ბრწყინვალებით ბრწყინავს; საკვირველი ღვთაებრივი სინათლე.. და იწვევს ჭაბუკს ეს ბრწყინვალება, გულს სიყვარულით უთრთოლებს და საოცარი სიძლიერით იზიდავს იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთი

ინგლისის მემაღაროები

ლონდონი. 6 ოქტ. ინგლისის მემაღაროეთა მოთხოვნილებანი ხელფასის შესახებ, რომელიც შეტანილი იყვნენ ნახშირის მრეწველობის ნაციონალურ საბჭოში განსახილველად, არ იქნენ მიღებული მესაკუთრეების მიერ, რის გამო მემაღაროეთა ფედერაციამ დაადგინა მიმართოს პრემიერს თხოვნით, რათა მან მიიღოს ფედერაცია, რომელიც უხსნის მთავრობას მემაღაროეთა და ნახშირის მრეწველობის მდგომარეობას.

ირლანდიაში.

რომი. 6 ოქტ. ინგლისის გაზეთების ცნობით, მთავრობის ჯარებსა ირლანდიის აჯანყებულებთან უკანასკნელ შეტაკების დროს, უკანასკნელებმა დაკარგეს 41 კაცი, ამის გარდა 57 კაცი ტყვედ იქნა წაყვანილი.

პარლამენტების კონფერენცია.

რომი. 6 ოქტ. ვენეციაში შესდგა საერთაშორისო საპარლამენტო კონფერენციის პლენარული სხდომა.

კრედიტი ავსტრიას.

ნაუენი. 6 ოქტ. ერთა ლიგის საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ, ჩეხო-სლოვაკიამ და ავსტრიამ ხელი მოაწერეს საბოლოო შეთანხმებას იმ კრედიტების შესახებ, რომელნიც აღნიშნული სახელმწიფოების მიერ მიეცემა ავსტრიას.

იტალია-პოლონეთის კომერციული ხელშეკრულება.

რომი, 6 ოქტ. პოლონეთის საგარეო დელეგაციის მრჩეველმა რომში გვაცნობა იტალიასა და პოლონეთ შორის დადებულ სავაჭრო ხელშეკრულების ძალაში შესვლის შესახებ.

ესპანეთში.

რომი. 6 ოქტ. ესპანეთში მსხვერპლთა დაკრძალვა დიდი ზეიმით მოხდა. პროცესში მონაწილეობას იღებდენ სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლნი და აუარებელი ხალხი. წარმოთქმული იქნა სიტყვები ქალაქის თვითმართველობის წევრების მიერ.

რუმინეთის პარლამენტი.

ნაუენი. 6 ოქტ. რუმინეთის პარლამენტის სასწრაფო სესია გაიხსნება 12 ოქტომბერს,

რუსეთი

სამთო-მადნო წარმოებათა მუშების ყრილობა.

მოსკოვი. 6 ოქტ. გაიხსნა სამთო-მადნო წარმოებათა მუშების საოლქო ყრილობა. თავის პირველ რეზოლუციაში ყრილობამ აღიარა საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის სისწორე.

დაბრუნებული მუშები

მოსკოვი. 5 ოქტ. კრონშტადტში ჰელსინგფორსიდან მოვიდა მუშების მეორე ჯგუფი, რომელიც საბჭოთა რუსეთს დაუბრუნეს საზავო ხელშეკრულების თანახმად.

საჩუქარი მუშებს.

მოსკოვი. 6 ოქტ. მუშათა შორის დაარსებულმა დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა გაუგზავნა საჩუქარი პეტროგრადის საბავშვო სახლებს.

შაქრის ქარხნები.

მოსკოვი. 6 ოქტ. დაიწყო მუშაობა უკრაინის მთელ მარჯვენა ნაპირის შაქრის ქარხნებში მიუხედავად განუწყვეტელი წვიმებისა ჭარხლის მოწოდება ქარხნებისათვის არ შეწყვეტილა.

განახლებული ეკლესია.

მოსკოვი. 6 ოქ. „ჟივაია ცერკოვის“ ხარკოვის ჯგუფმა მიმართა თხოვნით რომის პაპს და აღმოსავლეთის კათოლიკოსებს, გამოუშვან მოწოდება ევროპის ყველა სახელმწიფოებისადმი ომის წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება მთელ ქვეყნის მშრომელებს განუზომელი უბედურებით.

ინგლისის კაპიტალისტ ურხარტთან ხელშეკრულება

მოსკოვი 7 ოქტ. სახალხო კომისართა საბჭომ უარყო კრასინის ხელშეკრულება ინგლისის კაპიტალისტ ურხარტთან, ვინაიდან კონცესიის მიცემა მოითხოვს რუსეთსა და ინგლისს შორის მეგობრულ ურთიერთობას. ინგლისის მოქმედება კი უკანასკნელ დროში, რომელიც ახდენს რუსეთის იზოლაციას ახლო აღმოსავლეთის საკითხის განხილვის დროს, გვიჩვენებს რომ ასეთ ურთიერთობას ადგილი არ აქვს.

ახალი ამბები

— **გამოურკვეველი სიკვდილი.** 4 ოქტომბერს მიხაილოვის საავადმყოფოში მილიციონერებმა მოიყვანეს ვინმე ძალზე მთვრალი გეურქ განიკლიანცი, რომელიც რამოდენიმე საათის განმავლობაში გარდაიცვალა. ექიმების გამორკვევით, მას თავის ქალა რაღაც მძიმე იარაღით ჰქონია გატეხილი. საიდანაც ბევრი სისხლის დენისა და ტვინის ამღვრევის გამო გარდაიცვალა. მიზეზი ჭრილობისა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

— **ყალბი კვიტანციები.** როგორც ცნობები მოგვდის, მრავალ ბოროტ-მოქმედ პირს უსარგებლნია ამ ჟამად შემოღებულ სხვა გადასახადების გაწერით და დაუმზადებიათ ყალბი ბარათები, რომელსაც სათანადო თანხის აღების შემდეგ აძლევენ მოვაჭრეს თუ სხვა პირთ, ვითომდაც შემდეგ ალმასკომში წარსადგენად. რამოდენიმე ბოროტ მოქმედი პირი უკვე დატუსაღებულია; გრძელდება სხვა პირთა შეპყრობაც.

— **მამადავითის მთაზე ხე-ტყის მოშენება.** მამა-დავითზე ხე-ტყის მოშენების მიზნით, გადადებულია მიმდინარე ხარჯების დასაფარავათ 150000000 მ.

— **წიგნის გამომცემლობა ბაქოში.** ალმასკომის პრეზიდიუმი აღფრთოვანებით შეხვდა ტფილისის კომიტეტის დადგენილებას, ბაქოში წიგნების გამომცემლობაში მონაწილეობის მიღებას და ადასტურებს ას მილიონ მან. პაის შეტანას.

— **მუშათა უბნების გაშენება.** მუშათა უბნების გაშენების მიზნით, ბინების გამშენებელ ცენტრალურ სამმართველოს გადეცა 500 000 000 მ. კრედიტი.

— **მწევარ-მეძებარ ძაღლების განთავისუფლება გადასახადისაგან.** თანახმად მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მიმართვისა, ის ძაღლები, რომლებიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში, მონადირეთა კავშირში—განთავისუფლებულია გადასახადისაგან.

— **სამეურნეო ბანკი.** ტფილისის სამეურნეო ბანკის საბჭო ამით აცხადებს, რომ უკანასკნელ ვადად საწევრო ფულის შემოტანისა დანიშნულია 10, 11 12 ოქტომბერი, ხოლო საზოგადო კრება კი მოწვეული იქნება 22 ოქტომბერს, დღის 11 ს.

დღიური წესრიგი:

1. საბჭოს მოხსენება ბანკის დაარსების და წესდების შესახებ.
2. ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.
3. არჩევნები საბჭოსი, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის.

— **მუშათა ფაკულტეტის გახსნა.** კვირას 8 ოქტომბერს მოხდება საზეიმო გახსნა სახელმწიფო უნივერ. არსებულ მუშათა ფაკულტეტისა, ყოფილი ტექნიკუმის შენობაში, ყოფილ რეალურ სასწავლებლის შესახვევი № 4. პროფკავშირების, რევკომების, პარტ. ორგანიზაციის და სხვა და სხვა წარმომადგენლების გარდა, გახსნას დაესწრებიან მუშათა ორივე ფაკულტეტის მსმენელები და სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები.

სამხატვრო ქრონიკა

სამხატვრო გამოფენები. მოსე თოიძეს და მის სტუდიის თანამშრომელთა ახალგაზრდა მხატვრებს განუზრახავთ საქართველოს პროვინციებში სამხატვრო გამოფენების მართვა. პირველი გამოფენა გამართეს მანგლისში რომელსაც ადგილობრივი ადმინისტრაცია თანაგრძნობით შეხვდა. გამოფენის დასასრულს უფასოდ იქნენ მოწვეულნი სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა მუშები და წითელი არმიელნი რომელთაც მოსე თოიძე ხელოვნებაზე ესაუბრა და განუმარტა გამოფენილ სურათების მნიშვნელობა.

მ. თოიძის სამხატვრო სტუდიაში. მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიაში მეცადინეობა უკვე დაიწყო. უფასოდ შეუძლიანთ ყველა მხატვრებს ისარგებლონ შიშველი ნატურით შაბათობით და ორშაბათობით 3—6 საათ. კვირაობით 11—2 ს. იქვე გაიხსნა მოსამზადებელი კლასი და სწარმოებს ლექციების კითხვა პლასტიკურ ხელოვნების შესახებ საღამოობით. ღარიბთაგან ნიჭიერნი თავისუფლდებიან სწავლის ფასისაგან, რომელიც 100 ათასი მან. თვეში. ნიკოლოზის ქუჩა № 9.

პარტიაში

დღეს შუადღის 12 საათზე, „ტრიბუნას“ რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის სხდომა.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთში დაუთმოთ ადგილი შემდეგს:

რამდენიმე წლიწადს მე ვმონაწილეობდი საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარ. პარტიაში.

პარტიაში მომხდარ განხეთქილების შემდეგ, პარტიის არც ერთს ფრთაში არ მიმუშავნია.

ვინაიდან დღეს დავრწმუნდი, რომ ერთად ერთი პარტია, რომელსაც მაღლა უჭირავს ბრწყინვალე დროშა—ეროვნული და სოციალისტური თავისუფლებისა, არის საქართველოს მემარცხენე სოც. ფედერალისტთა სარევ. პარტია,—ამიტომ გადავდივარ ამ პარტიაში, რათა ვემსახურო საქართველოს მშრომელი ხალხის ინტერესებს.

შაქრო ხატიაშვილი.

სკოლების მდგომარეობა

სამოსწავლო წელი იწყება. ზოგიერთ სკოლებში მისაღები და განმეორებითი გამოცდები უკვე დაიწყო. 4 თვის შემდეგ სკოლების შენობები, რომლებიც სამარისებური სიჩუმით იყო მოცული, ისევ ივსება ცქრიალა, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობით. მასწავლებლებიც უდგებიან თავისი მძიმე მოვალეობის შესრულებას.

ეგრედ წოდებული „სავალდებულო, უფასო და სხ. რამ სწავლა“ თითქოს განზე რჩება. წარსულ წელს ქ. ტფილისში რამოდენიმე ათასი ახალგაზრდობა დარჩა სკოლის გარეშე—სკოლებში უადგილობის გამო და ვისაც არ ქონდა პირადი ნაცნობობა და პროტექცია; წელს ამ მხრივ საქმე უფრო გართულებულია, ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებამ და უფრო მშობლების მეტ გათვითცნობიერებამ სკოლაში შემსვლელთა რიცხვი საგრძნობლათ გაზარდა; როგორც ვიცით, ქალ. ალმასკომის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, (უსახსრობის გამო) რამოდენიმე სკოლა დაიხურა წელს, დახურულ სკოლების ბავშვები განაწილებულ იქნა სხვა მეზობელ სკოლებში, ამით შექმნილია არანორმალური - არაპედაგოგიური მდგომარეობა, თითო განყოფილებაში წელს უნდა ისწავლოს 45—50 შეგირდმა. ასე ამგვარად, განათ. განყ. განკარგულება: „გარდა პირველ განყოფილებისა, სხვა განყოფილებაში ახალი ბავშვების მიღება აკრძალულია“-ო, გასაგებია. ამას დაუმატოთ ზოგიერთ სკოლების შენობების მდგომარეობა. მე ვიცი სკოლები (მაგ. 30, 34 და სხვა), რომლებიც მოთავსებული არიან ისეთ შენობებში, სადაც არის რესტორანები და სხვა საქეიფო ადგილები. მე პირადათ მქონდა შემთხვევა მიმემართა სადარაბო სექციის გამგისათვის საყვედურით: რათ მიეცით ჩვენი სკოლების შენობებში დარაბა რესტორანებისთვის თქო, მან მიპასუხა: ახალი ეკონ. პოლ. არის ამის მიზეზიო, კარგი ქირა შემოგვაძლიეს და მივეცითო. ეს ყოვლად შეუწყნარებელია, საჭიროა დაუყოვნებლივ განთავისუფლებული იქნეს ასეთი შენობები, რათა მოზარდი თაობა დახსნილი იქნას ცუდი გავლენისაგან.

ამას ერთვის კიდევ სკოლაში სამოსწავლო ნივთების უქონლობა, ამ მხრივ განათ. განყ. მუშაობს, მაგრამ აქ უშლის ხელს ერთი გარემოება. განათ. განყ. არსებობს ეგრეთ წოდებული მოარაგების განყოფ., რომლის არსებობა სკოლებისთვის არაფერს არ წარმოადგენს, თანხა კი დიდი იხარჯება ამ განყოფილებაზე, ის ემსახურება მხოლოდ საბავშვო სახლებს.

ყველა ამას უნდა დაუმატოთ განათლების მუშაკთა მატერიალური უნუგეშო მდგომარეობა. ამაზე ბევრს არას ვიტყვი, ვინაიდან პრესაში ამ საგანზე ბევრი დაწერილა, მხოლოდ არ შემიძლია არ აღვნიშნო ის მცირე ჯამაგირი, რომელსაც ვღებულობთ ჩვენ; ყველა დარგის მუშა-მოსამსახურეები ღებულობენ ჩვენზე მეტს, ჩვენ მაქსიმუმს ვღებულობთ 1.500.000—1.700.000 (მხოლოდ გამგები), მასწავლ. კი 1.017.000—1.286 ათასი—რა საკვირველია ამას კიდევ აკლდება, სხვა და სხვა გამოკლებანი.

ფიზიკური მომუშავეები—დარაჯები ხომ მთლად დაჩაგრულნი არიან მაშინ, როდესაც სხვა დაწესებულების დარაჯები ღებულობენ 2 ნახ. გ. პურს, ჩვენი დარაჯები ღებულობენ მხოლოდ 1 გ. პურს. ფულათ თვის ბოლოს ისინი ღებულობენ არა უმეტეს 300—400.000 მან.

თუ ყველაფერს ამას დაუმატებთ ჯამაგირების თავის დროზე მიუღებლობას, მაშინ თქვენთვის ცხადი იქნება, თუ რა მდგომარეობაში ვიმყოფებით ჩვენ.

დროა მიაქციონ ჩვენი და სკოლების მდგომარეობის გაუმჯობესებას ვისაგანც ეს ჯერ-არს.

აქ არ შემიძლია სიამოვნებით არ აღვნიშნო (ბევრი მასწავლებლების აზრიც) ის გარემოება, რომ გაზეთი „ტრიბუნა“ ყველა ორგანოებზე მეტად გრძნობით ეხმაურება ჩვენი მასწავლებლების და სკოლების გაჭირვებას.

გ.—ია.

და საყვარელი, ჯადოსნური [illegible] აღფრთოვანებული ჭაბუკი ტბის მეორე ნაპირზედ გადაეშვება და ა—ის ოქროთი გაბრწყინებულ, საუცხოვო თვალწარმტაც მწვანილებით შემკულ სასახლეში გაჩნდა და ღვთიური ცეცხლით აღზნებული, ძვირფას ქვებით [illegible] ალებით დაზნელებულ თვალებით, ჭაბუკი მას უცქერის მოჩვენებასავით.

ვინ არის—არ იცის, მაგრამ კვდებიან და კვდებიან მის წინაშე ყოველი ვარსკვლავი და მზის სხივები.

და დაინახა მან ჭაბუკი და ხიზ, ფოთოლთა საიდუმლო შრიალის ნაზადს ხმით სთქვა:—ჭაბუკის დასაბამიდან—ჩემი საუფლო ბედნიერებისა და ნეტარება იქნება საუკუნოთ.

— მე—ბედნიერება და სიცოცხლე ვარ მიუწვდომელი, ჩემთან, ჩემში და ჩემით ხდება სიცოცხლე მუდმივ და უკვდავად. სანამ შენ ჩემთან იქნები, მხოლოდ ჩემით იქნები ნეტარებული შენ, და, დაილევიან რა ყოველივე მიწიერს—მხოლოდ მე ერთი დამიწყებ ტრფიალს—მანამ სიკვდილი შენ არ შეგეხება.

მე ვარ შენი ერები! დარჩი!..

ჭაბუკი დარჩა.

გადიოდნენ საუკუნეები და ის, აღფრთოვანებით გაბრუებული თვალს არ აშორებდა საყვარელ მოჩვენებას და ჰქროდნენ კვლავ წლები.

ჭაბუკი უეცრად დაღონდა, გული სევდით აევსო და მომხიბვლელ არსებას უთხრა:—ღვთაებრივო მშვენიერებავ! რაოდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც არ მინახავს ჩემი საყვარელი დედა, ჩემი მშვენიერებით შემკული სამშობლო, მამისეული სახლი, არც მახლობელი მეგობრები, არც ნათესავები!

— აჰ! მე ვხედავ, სთქვა მშვენიერმა არსებამ, რომ მიწას სურს მაინც თავისი გაიტაცოს და არ ძლევა მას, რადგან კანონით მის საკუთრებას შეადგენს. წადი, დაემორჩილე მიწიურ კანონებსა და კაცობრიობის ხვედრი შენც გაიზიარე. წადი, და აი ჩემს სახსოვრათ—მოგიძღვნი ორ ყვავილს—მეწამულს და თეთრათ გაღვივებულს.

როდესაც გიმღეროდეს შენ, შენი ცხოვრებით განიცადე ყველა ის წლები, რომლებიც შენ აქ ჩემს [illegible] დაჰყავი—დაუბრუნე მეწამულ ყვავილს. მაგრამ, თუ შენ მიხვდები და გაიგებ სიკვდილის ახლოს და მის მშვენიერებას, მიიახლოვე თეთრათ გამქრალი ყვავილი შენს ბაგესთან და დაეწაფე მას, წადი!..

და მიდის ჭაბუკი ძველი გზით. ფეხს ნაცნობი კლდე და მასზედ შავათ გამოკრთის ბებერი ყორანი. ჭაბუკი მას უძახის. პასუხი არ ესმის. იგი მიუახლოვდება ყორანს, ხელით შეეხება მას და უკვე გამოფიტული სხეული, როგორც თოვლის წამალი ისე იფხვნება. ჭაბუკი ქვავით იცქირება, მაგრამ უფსკრული არა სჩანს. იგი უკვე ამოვსებულია პირამდე. ყორანმა შეასრულა თავისი ქვეყნიური დანიშნულება და სამუდამოთ დაისვენა.

და განაგრძობს ჭაბუკი გზას:—მიდის იმ ადგილას, სადაც ოდესღაც იყო მისი დატოვა და ხედავს მხოლოდ თეთრი ძვალთა ხროვას და თავის ქალას, რომლისგანაც მოზვირთული ორი შავი [illegible] ცნობა და მას იცნობს.

როგორც ყორანმა, ისე ძვლებმაც შეასრულეს თავისი ქვეყნიური დანიშნულება და დაისვენეს მარადიულ ძილით.

ბოლოს ჭაბუკი მიადგება მის სამშობლო ქვეყანას. მაგრამ რას ხედავს? იგი ვერაფერს და ვერავის ვეღარ ცნობილობს. იქ, სადაც წინად ულამაზეს მზგავსი ხეივანი იყო, სოფლებით აჭრელებული ხალხი უცნობ ტანსაცმლებში რაღაც უცხო ენაზედ საუბრობენ და ჭაბუკს ვერ ძალუძს მისი გაგება. და აი მთები, საყვარელი სამშობლო მთები, სადაც პირველად იხილა ნათელი, სადაც აიზარდა, სადაც ცხოვრობდა და დედა დატოვა.

მაგრამ სად არის იგი? სად არის ის სახლი, სადაც ის ცხოვრობდა და ბრძნულად განაგებდა თავის სახელოვან ხალხს? ყველაფერი ცარიელია, ყველაფერი სდუმს და მხოლოდ ხავსმოდებულ ნანგრევთა ნაშთნი აჩვენებენ იმ ადგილს, სადაც ოდესღაც მშვენიერი სასახლე იდგა.

და ხედავს იგი მახლობელ ხეობაში, იქ სადაც ოდესმე ზღაპრები სიმღერები და ტკბილი ნანინარი სიმღერები გაისმოდენ, სადაც ქალწულთა თეთრი ფეხები—მწვანე, ზურმუხტოვან ბალახს თელავდნენ—ძველის ძველი სამლოცველო დგას.

ჭაბუკი საჩქაროთ შედის იქ და საფლავის ქვაზედ ასწლოვან მოხუც ბერს ხედავს.

იმ ქვაზედ ზის იგი მოხუცი და გაყვითლებულ მოთრთოლვარე ბაგეთაგან—წმინდა ლოცვების ჩურჩული ისმის.

— მითხარ მოხუცო, სად არის ის ადგილი, სადაც დიდღოწყალი მაგდანა ცხოვრობდა და თავის მშობლიურ სახელგანთქმულ ერს განაგებდა? მე მისი ძე ვარ, ტახტის მემკვიდრე და თუ დედოფალი ცოცხალი არსებობს—მე გახლავართ თქვენი მეფე და მბრძანებელი!

— მაგდანა?—მოხუცმა ჰკითხა—მაგდანა? მე მახსოვს ძველ თქმულებიდან, მაგრამ მე შენი თითქმის არ მესმის, შენ არ მეტყველებ ჩვენს ენაზე, არის ძველისძველ ხელთნაწერებში დაცული ენა. მე ოდესღაც იგი შემისწავლია და მხოლოდ მისთვის შემწევს ძალა, რომ ნაწილობრივ იგი გავიგო, მაგდანა? შენ მეკითხები! დიახ, ხალხში არის ძველი თქმულება, რომ აქ ოდესღაც, ათასი წლის წინ და შეიძლება უფრო იქითაც—ცხოვრობდა ერთი ძლიერი დედოფალი... მას მაგდანას უწოდებდენ და მას ჰყავდა ძე, იგი წავიდა უგზო-უკვალოდ, დაიკარგა. გარდაიცვალა მაგდანა და ძლიერი სამეფოც დაეცა.

ჭაბუკი დაფიქრდა და სთქვა: „ოჰ, ჟამთა მარადიულო სიდიადევ! რა ვარ მე ეხლა? მხოლოდ ერთი გადმოცემა, დავიწყებული ლეგენდა!“ და ამოიღო ჭაბუკმა მეწამული ყვავილი, დაჰყნოსა მას და ელვის სისწრაფით განიცადა მთელ საუკუნეთა განვლილი ცხოვრება და იქცა ბრძენ მოხუცად, თვალთა ელვარება ჩაუქრა, მუხლები მოეკვეთა და დაეჭკნა მშვენიერი კანი სახეზე... მას უკვე აღარ შეეძლო ხელი გაეწვდინა იმ საგზაო ჩანთისაკენ, რომელშიაც მისი თეთრად გამქრალი ყვავილი ინახებოდა და წყნარათ წყნარეთ წაიჩურჩულა მან მოხუცს:— „ჩქარა, მამაო, ჩქარა მომაწოდე ჩემი თეთრი ყვავილი და მომიხლოვე ჩემ ბაგესთან, მომეცი საშველი, დაეწაფო მის სურნელებას, რომ ბოლოს შევძლო გაგება და განცდა სიკვდილის მშვენიერების.“

და მოკვდა ჭაბუკი, შეიკრიბა ხალხი და დაუბრუნეს იგი იმ მიწას, რომლისგანაც წარმოიშვა და ვერაფერი ვერ დაარღვევს მის სამარისებურ მყუდროებას. და მის საფლავზედ ცხელა, ყოველ წლობით ყვავილობს ხოლმე ორი ყვავილი—მეწამული და თეთრათ გამქრალი.

გრ. შავგულაძე.

შრომის სკოლების გამგეთა კრებაზე

მიმდინარე თვის 5, ტფილისის აღმასკომის შენობის დარბაზში შესდგა კრება ტფილისის შრომის სკოლების გამგეებისა. კრების მიზანს შეადგენდა:

1) გამორკვევა იმ გაუგებრობისა, რომელიც გამოიწვია განათლების ცირკულიარმა შტატის და არა შტატის მასწავლებელთა შესახებ, 2) მოხსენება განათლების განყოფილების გამგის, ამხ. ლ. რუხაძისა დასავლეთ საქართველოში განათლების და სასკოლო საქმის შესახებ და 3) მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ საინფორმაციო მოხსენებას აკეთებს ამხ. ბუხშტეინი, რომელიც არკვევს იმ გაუგებრობათ, რომელიც გამოიწვია განათლების განყოფილების უკანასკნელ ცირკულიარს შტატის და არა შტატის მასწავლებელთა შორის გაკვეთილების განაწილების შესახებ. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, შტატის მასწავლებელი, რომელიც არის იგივე კლასის დამრიგებელი, აძლევს კვირაში 18 გაკვეთილს და ეთვლება 24 საათი, (დამრიგებლობის გამო) ხოლო არა შტატის მასწავლებელი კი ვალდებულია, რომ მიიღოს ნორმალური ჯამაგირი, მისცეს 24 გაკვეთილი და 30 როგორც ეს იყო აღნიშნული ცირკულიარში და სხვ.

ამის შემდეგ გაირჩა მიმდინარე საკითხები, (ლ. რუხაძის მოხსენება გადატანილ იქნა მე-3-მე საკითხად) სადაც მრავალი საინტერესო საკითხები იქნა განხილული. როგორც ამ საკითხებიდან აღმოჩნდა, მრავალ სკოლას აკლებია საკლასო დგამი, როგორიცაა პარტები, სკამები, მაგიდები, კედლის საათი და სხვა სასწავლო-საკლასო ინვენტარი, ამ საკითხის შესახებ განათლების განყოფილების გამგე აცხადებს, რომ განსაკუთრებული თანხა არ არის გადადებული აღმასკომის მიერ, სასწავლებლებისათვის საჭირო ინვენტარის შესაძენად და ამისათვის დავალებული აქვთ ნაციონალური სკოლების ინსტრუქტორებს აღრიცხონ შტატ-გარეშე დარჩენილი სკოლების და საერთოდ ყველა სკოლების „ზედმეტი" ინვენტარი და ის გამოიყენონ ისეთი სკოლებისათვის, სადაც ეს აუცილებელია.

შემდეგ საკითხზე, თუ რა ზომები იქნას მიღებული იმ მასწავლებელთა წინააღმდეგ, რომლებიც დღემდე არ გამოცხადებულან სკოლაში, გადაწყდა, უმრავლესობით, რომ დაევალოს სკოლების გამგეთ ხვალვე წარმოადგინონ დასათხოვნათ ის მასწავლებლები, რომლებიც საპატიო მიზეზის გარეშე არ გამოცხადებულან სკოლებში და არც არაფერი აცნობეს გამგეებს.

ამის შემდეგ გაირჩა საკითხი მასწავლებელთათვის ტრამვაის ბილეთების მიცემის შესახებ—რომლის შესახებაც გამოირკვა, რომ განათლების განყოფილებას უკვე აღძრავს შუამდგომლობა აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე, რათა გადადებულ იქნას თანხა ტრამვაის ფულის მისაცემად გამგეებისათვის და ისეთი მასწავლებლებისათვის, რომლებიც სკოლიდან ძალიან მოშორებით ცხოვრობენ. საამისო ცნობების მიწოდება დავალებული აქვთ სკოლის ინსტრუქტორებს.

სამოსწავლო ნივთების ნაკლულოვანების შესახებ, განათლების განყოფილების გამგე აცხადებს, რომ ამიერიდან შეწყვეტილია ყოველგვარი საკლასო სამოსწავლო ნივთების უფასოდ დარიგება მოწაფეებზე. ისეთი ნივთები როგორიცაა წიგნები (სახელმძღვანელოები) რვეულები, ფანქრები, კალმები, კალამტარები და სხვა ამგვარი, თავის ფულით უნდა შეიძინოს ყოველმა მოწაფემ.

ამის შემდეგ განხილულ იქნა სხვა წვრილმანი საკითხები საკლასო ცხოვრებიდან დაბოლოს კრებამ მოისმინა ამხ. ლ. რუხაძის მოხსენება დასავლეთ საქართველოში სამოსწავლო საქმის მდგომარეობის შესახებ. მოხსენება ძალიან მოკლე იყო, მაგრამ საინტერესო ინფორმაცია გადაშალა დამსწრეთა წინაშე, აღნიშნული მხარის სკოლების და განათლების საქმეების მიმდინარეობის შესახებ.—მოიხსენია მასწავლებელთა ნაკლულევანება პროვინციაში, რაც ძრიელ აფერხებს სკოლების გამრავლებას და, პირიქით, კიდეც იხურებიან ამის გამო. დაბოლოს მოუწოდა კრებას გასწიონ აგიტაცია უმუშევარ მასწავლებელთა შორის, მათი პროვინციაში გამგზავრების შესახებ.

განთარი.

სოფლის აფთიაქების იჯარით გაცემა

როგორც გაზეთებმა გვაუწყა, ჯანმრთელობის კომისარიატის საფარმაცევტო განყოფილების მიერ უკვე დაწყებულია სოფლის აფთიაქების იჯარით გაცემა. რამდენიმე აფთიაქი უკვე გაიცა იჯარით, ხოლო დანარჩენის შესახებ სწარმოებს მუშაობა.

ჩვენ გვინდა ამ გარემოებას მივაქციოთ ჯეროვანი ყურადღება, რადგან ვის ხელშიაც იქნება ჩვენი სოფლის აფთიაქები, არსებითად მის ხელში იქნება მთელი ჩვენი ქვეყნის ჯანმრთელობის საქმე და ამიტომ მეტი სიფრთხილე და დაკვირვებაა საჭირო სოფლის აფთიაქების საქმეში.

ძველად სოფლის აფთიაქები საჩარჩო დაწესებულება იყო, სადაც უფრო მეტი მოხერხებითა და მეტი სიდიდით სწარმოებდა ხალხის გაყვლეფა. ამდენათვე აფთიაქი ვერ ასრულებდა თავის პირდაპირ მიზანს და ხალხის ჯანმრთელობა არ იყო მისთვის ყურადღების საგანი.

აფთიაქის მეპატრონე, ისე, როგორც ყოველი ვაჭარი, დაინტერესებული იყო მოგებით და მისთვის მუშაობდა იგი. ასეთი მდგომარეობა რასაკვირველია დაუშვებელი იყო ხალხის ჯანმრთელობის თვალსაზრისით. ამას გრძნობდა ყველა და საბჭოთა წყობილებამ კიდეც მოახდინა აფთიაქების ჩამორთმევა, რაც დიდ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ხალხის ჯანმრთელობის საქმეში, რათქმა უნდა თუ სახელმწიფო შესძლებს მის წარმართვას შესაფერად.

ახალ ეკონომიური პოლიტიკის გამო, ყოველი უწყება შეუდგა იმ ტვირთისაგან დაცლას, რომელიც მეტად სიმძიმით დააწვა მას საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი ფუნქციების ხელში დაგროვებით. ამიტომ სწარმოებს ჯარით გაცემა სხვა და სხვა წარმოების, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ იჯარით გაიცეს ისეთი რამ, რაც არტერიაა ხალხის ფიზიკური არსებობის, რომელსაც წარმოადგენს სოფლის აფთიაქები.

სოფლის აფთიაქების იჯარით გაცემით ჩვენ უბრუნდებით ძველ მდგომარეობას, როდესაც აფთიაქები სასპეკულიაციო დაწესებულება იყო და არა ხალხის ჯანმრთელობის მოდარაჯე.

რა თქმა უნდა მეტად ძნელია სახელმწიფოს მიერ სოფლის აფთიაქების მართვა. ამით აიხსნება ალბად ჯანმრთელობის კომისარიატის ნაბიჯი, მაგრამ ეს ისეთი ნაბიჯია, რომ, როგორი სიძნელის წინაშეც არ უნდა იყოს სახელმწიფო, იგი ასეთ გამოსავალს მაინც არ უნდა მიმართავდეს.

ჩვენ შეგვიძლია მრავალი რამ გავცეთ იჯარით, რაც დღეს სახელმწიფოს ხელშია, შეგვიძლია იჯარით გავცეთ თუ გნებავთ ისეთი მნიშვნელოვანი დარგი, რომელსაც წარმოადგენს პოლიგრაფიული წარმოება მაგრამ შეუძლებლად უნდა მივიჩნიოთ იჯარით გაცემა, რადგან აქ ხალხის ფიზიკური არსებობის საკითხი სდგას და ამასთანავე საფთიაქო საქმე ისეთი ტიპის საქმეა, სადაც ყველაზე მეტად ცუდ პირობებში უხდება კონტროლის გაწევა სათანადო ორგანოებს.

ამ რიგად აფთიაქების იჯარის გაცემა აუცილებლად მიზან შეუწონელ რამედ უნდა ჩაითვალოს.

სახელმწიფოსაც არ ძალუძს სოფლის აფთიაქების წარმართვა სასურველად, მაგრამ ყოვლად წარმოუდგენლად უნდა მივიჩნიოთ მოიჯარადრეების მიერ ხალხის ჯანმრთელობაზე ფიქრი. ამ მხრივ საჭიროა მეტი დაკვირვება.

ს.

სტუდენტთა ბინის შესახებ

(ტფილ. აღმ. სკომის საყურადღებოთ).

ტფილისში სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების დღიდან, სტუდენტთა საკავშირო გამგეობა ცდილობდა ღარიბ სტუდენტებისათვის საერთო ბინა მოეწყო. დიდი ცდის შემდეგ მოაწყვეს ორი საერთო ბინა 3. სემინარიაში და მეორე ელისაბედის ქუჩაზე სასტუმრო „ბონ-მონდში". სემინარია თავის სიშორისა გამო უვარგისი გამოდგა სტუდენტებისათვის. დარჩა ერთი საერთო ბინა ელისაბედის ქუჩაზე, რომელიც შემდეგ პროფ. გრ. ყიფშიძის სახელობის საერთო ბინათ გადაკეთდა. ამ საერთო ბინაში 50 უღარიბესი სტუდენტი თავს იფარებდა და მათ ზოგიერთ დახმარებას აძლევდა საკავშირო გამგეობა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, საბჭოთა სახლების სამართველომ ეს ბინა გადააკეთა საბჭოთა სახლად და ყოველივე ხარჯები თვითონ იტვირთა (შეშზოვნა, ოთახის გამწმენდელების ქირა და აგრეთვე ყველა წვრილმანი ხარჯები). აქაური სტუდენტები [illegible] შეხვდნენ საბ. სახლების სამართველოს ამ დახმარებას.

გავიდა რამდენიმე თვე. სტუდენტთა საუბედუროთ დაიწვა ტფ. მაზრ. რევ. კომიტეტის შენობა. რევ. კომიტეტის ადმინისტრაცია დიდი ძიების შემდეგ მიადგა სტ. საერთო ბინას და ბინის გამგეობას მოსთხოვა დაეცალათ ეს ბინა, რადგან მაზრისათვის აუცილებელიაო. სტუდენტობამ დაუთმო სამაზრო რევკომს ეს ბინა და მის მაგიერათ მიიღო სამი სასტუმრო „ბონ-მონდი" (მიხაილოვის ქუჩაზე). „მოსკოვი" და „იტალია". სასტ. „იტალია" და „მოსკოვი" გაპარტახებული იყო და მას ესაჭიროებოდა კაპიტალური რემონტი.

პირველ იანვრიდან საქ. ს. ს. რესპუბლიკაში მოქმედება დაიწყო ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ. ისარგებლეს ამით სახლის პატრონი იჯარადრეებმა და მოითხოვეს სასტ. „ბონ-მონდი" მათთვის გადაეცა. საბ. სახლების მმართველმა მოქ. აპარინმა ჩამოგვართვა „ბონ-მონდი". იქ მყოფი სტუდენტები ჩაასახლა სასტ. „იტალიაში". „იტალია" და „მოსკოვი" გაართიანა ერთ მუშათა სახლად № 41. მოხსნა შეშზოვნა, ოთახის მწმენდელები და შემოგვითვალა თქვენს ხარჯზე უნდა შეინახოთო.

მაისის შუა რიცხვებში საბ. სახლების ახალმა მართველმა მოქ. ტოროშელიძემ მოითხოვა გამგეობის დაეცალა უკვე მუშათა სახლათ გადაკეთებული სასტუმრო „მოსკოვი" და გადაეცა მოიჯარადრესათვის. სტ. გამგეობა ამაზე არ დაითანხმდა და უნდოდა თხოვნით მიემართა ქალ. აღ. კომიტეტის პრეზიდიუმისათვის, მაგრამ საქმე მორიგებით გათავდა. საბ. სახლების [illegible] გამგეს და მოიჯარადრეს უნდა ეშოვნათ კერძო ბინებში ოთახები „მოსკოვი"-ს სტუდენტებისათვის, მაშინ გამგეობა თმობდა სასტუმრო „მოსკოვს". ეს საქმე გააჭიანურეს მთელ თვეს. ისარგებლეს შემთხვევით: როცა სტუდენტები სოფლებში წავიდნენ, სასტუმრო „მოსკოვი" იჯარით გასცეს და ერთი სტუდენტის გარდა სხვა ქუჩაში დატოვეს. თავის უბინო ამხანაგები ჩაისახლეს სასტ. „იტალიაში", რამაც გამოიწვია საშინელი შემჭიდროვება, ზოგიერთი კორიდორში წევს.

დაინახა რა სასტ. „იტალიის" პატრონმა, რომ სტუდენტებს ორი სასტუმრო ჩამოართვეს, უშოვია დრო, როდესაც სტ. საერთო ბინის გამგეობის წევრები სოფლებში იყვნენ წასულნი, თხოვნა შეუტანია ქალ. აღ. კომიტეტში და ითხოვა, რათა ეს სახლი მას დაუბრუნონ.

ეს და გვაკლდა! ახალი ეკონომიური პოლიტიკით გათამამებული სპეკულიანტი ღრმათ დაიმედებულია, რომ მას ჩააბარებენ 40 სტ. და მათი ოჯახის ბედს. ეს თუ არ მოხდა, სტუდენტებს მოელის სრული გაყვლეფა და ქუჩაზე გამოგდებაც, რადგან სახლის პატრონი ითხოვს 11 ოთახის დაცლას.

როგორც გვიგეთ, ქალ. აღ. კომიტეტის პრეზიდიუმში ეს თხოვნა ამ დღეებში გაირჩევაო. სტუდენტობა ღრმათ დარწმუნებულია, თუ ქალ. აღ. გაეცნობა სტ. საერთო ბინის ისტორიას და შიგ მყოფ ულარიბეს სტუდენტობის [illegible] რეს მდგომარეობას, მაშინ უპირატესობა აუცილებლათ სტუდენტობას მისცემს [illegible] ახალ ეკონომიურ პოლიტიკით [illegible] მეზუღ სპეკულიანტს დაანახვებს, [illegible] საბჭოთა [illegible] ახალი ეკონომიური პოლიტიკის არსებობისა, უპირატესობას მიანიჭებს ღარიბებს ვიდრე სპეკულიანტებს.

შან. ლახი

ახალი დიდი კავშირი

მთავრობის ნებართვით, ტფილისში დაარსდა ახალი დიდი კავშირი ყველა ტფილისში მომუშავე წვრილი ხელოსნებისა, რომელნიც სხვისი დაქირავებული შრომით არ სარგებლობენ და არავის ექსპლოატაციას არ ეწევიან. ამ კავშირში შედიან სხვათა შორის, ექიმებიც და ვექილებიც. ერთის სიტყვით, ყველა თავისუფალი მოხელენი; ხსენებული კავშირის მიზანი არის მოაწესრიგოს ხელოსნებში საურთიერთო დახმარება, რისთვისაც ყველა ხელოსანი ვალდებულია გადაიხადოს ყოველთვიური საწევრო გადასახადი 30 ათასი მან. დახმარება ეძლევა წევრებს იურიდიული, საექიმო და ფულადაც, მოხელის, ანუ მისი ოჯახის წევრის სიკვდილის დროს ჯერჯერობით 1.000.000 მან. ასეთი კავშირის დაარსება თვით ცხოვრების კარნახით არის გამოწვეული, ვინაიდან წარმოუდგენელია, რომ წვრილი მოხელე-მკერავი, მეჩექმე, პარიკმახერი, ფოტოგრაფი, სლესარი და მჭედელი წარმოვიდგინოთ ბურჟუებათ და ყველა კანონები ბურჟუების საწინააღმდეგოთ გამოცემულნი მძიმე უღლათ დავადვათ კისერზე მოხელეს, რომელიც მდგომარეობით თითქმის არაფრით არ განირჩევა პროლეტარისაგან. პირიქით თუ ღრმა ანალიზს გაუკეთებთ, მრავალი ფაქტების მეოხებით ჩვენ დავინახავთ, რომ წვრილი მოხელე, გარდა ითი ოროლა გამონაკლისისა, რომელიც სათვალავში არ არის მისაღები, უფრო მუშაა, ვიდრე ქარხანაში მომუშავე პროლეტარი, რომლისთვისაც არსებობს განსაზღვრული სამუშაო დრო, რის შემდეგაც მას შეუძლიან დაისვენოს. წვრილი ხელოსანი, ნახევარჯერ მშიერ მწყურვალი, კისერ წადუნული, საცოდავი გამომეტყველებით, რომელიც ჩონჩხს უფრო წარმოადგენს, ვიდრე ადამიანის ფიგურას, მუშაობს განუსაზღვრელად დღე და ღამ, მაგრამ მისდა საუბედუროდ, ცოლ-შვილი მაინც სიმშილით ეხოცება. ნუ თუ ვინც ასეთ ხელოსანს ბურჟუას უწოდებს, მას ესმის რა არის ან ბურჟუა, ან პროლეტარი?! თუ ჩვენ შევკრებავთ სტატისტიკურ ცნობებს ყველა ინვალიდებისას, მათხოვრებისას და გარყვნილების ჭაობში ჩაფლულ ახალგაზრდებისას და გამოვარკვევთ თუ ვინ რა საქმეს ეწეოდა წინად, წინდაწინვე შეიძლება იმის თქმა, რომ პროპორციის მიხედვით იმათში უფრო მეტი ყოფილნი წვრილი მოხელენი იქნებიან, ანუ იმათი ოჯახის წევრნი. წვრილი ხელოსანი ანგარიშს არ უწევს თავის ფიზიკურ არსებობას და მშიერ მწყურვალი ძალდატანებით მუშაობს, ამიტომ იგი ადრე სნეულდება, ანუ კვდება, რის შემდეგაც იმისი ცოლ-შვილნი იძულებულნი ხდებიან სამათხოვროდ ქუჩაში გამოვიდნენ, ანუ გარყვნილების ჭაობში ჩაეფლან.

რასაკვირველია, ასეთი საზოგადოებრივი მოვლენა იმის დამამტკიცებელია, რომ ჩვენ ჯერ კიდევ შორს ძალიან შორს ვყოფილვართ კულტურისაგან, ცივილიზაციისაგან და ადამიანური, ჰუმანიური გრძნობების შეგნებისაგან და ჩვენი ცხოვრება წარმოადგენს იმ უღაბურ ტყეს, სადაც სხვა და სხვა მხეცნი ერთმანეთს შეუბრალებლად ხოცავენ და სჭამენ. რაღა თქმა უნდა, ის საუკუნე, რომელმაც წარმოშვა სოციალური ჩამოყალიბებული იდეოლოგია და ის სახელმწიფო, რომელიც სოციალისტების ხელში არსებობს ვერ შეურიგდება ასეთ მოვლენას, ამიტომ მთავრობის დახმარებით დაარსდა ზემოხსენებული საზოგადოება. კვირას, პირველ ოქტომბერს შესდგა სხვა და სხვა ცეხების დელეგატების კრება, უკეთ რომ ვსთქვათ „ხელოსნების საბჭოსი", რომელზედაც გამოცხადდა 36 დელეგატი. კრება გახსნა მოქ. ბადაევმა, კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა მოქ. ათაბეგოვი, მდივნებათ მოქ. სვანიძე და მოსეიჩი. კრებას დაესწრო აგრეთვე აღმასკომის წევრი მოქ. ჩოდრიშვილი, რომელმაც მიულოცა კრებას ზემოხსენებული საზოგადოების დაარსება და მოუწოდა დელეგატებს მუყაითი შრომისაკენ და აღგვითქვა ყოველივე დახმარება, რის შემდეგაც კრებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა. ამის შემდეგ, მოქ. ათაბეგოვმა, დელეგატები გააცნო წესდებას, აუხსნა ხსენებული კავშირის მნიშვნელობა ამ საბჭოთა მშენებლობის დროს და მთავრობის სახელით აღუთქვა ყოველივე დახმარება და მანაც მოუწოდა დელეგატებს მუყაითი შრომისაკენ. წესდების განხილვის შემდეგ, მოხდა არჩევნები საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და სარევიზიო კომისიის.

აქ არ შემიძლია არ აღვნიშნო ის ანორმალური მოვლენა, რომელმაც ასე ღრმათ გაიდგა ფესვები ჩვენს რესპუბლიკაში. კრებაზედ მსჯელობა რუსულად სწარმოებდა. [illegible]ების დელეგატმა მოითხოვა, რომ ქართულადაც განემარტათ. თავმჯდომარის ამხანაგი დელეგატებს ეკითხებოდა გსურთ თუ არა, რომ ქართულად განვმარტოთო. ფოტოგრაფების წარმომადგენელმა, ვარლამ ჩლაიძემ, პროტესტი განაცხადა და სთქვა: „საკვირველიაო, ვცხოვრობთ საქართველოს რესპუბლიკაში და გვეკითხებით ქართულად გსურთ თუ არა განმარტებაო, ერთხელ და სამუდამოთ უნდა იცოდეთ ყველამ რომ ასეთ შეკითხვებს აქ ადგილი არ უნდა ჰქონდესო", მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ქართველი დელეგატი „საუცხოვოდ" ასრულებდა კომიკურ როლს, თავისი საცოდავი დამტვრეულ-დანჯღრეული რუსულით.

აქ იბადება კითხვა, ნუ თუ არის ტფილისში ისეთი მოხელე, რომელმაც ასეთივე დამტვრეული ქართული მაინც არ იცოდეს? ტფილისის ფოტოგრაფებმა უმთავრესად იმიტომ ამირჩიეს მე დელეგატად, რადგან ქართული ენის მცოდნე ვყავი, და ეს იმიტომ, რადგან მათში არსებობს შეგნება სახელმწიფოებრივი და პატივისცემა იმ ერისა, რომელი ერის ტერიტორიაზედაც ისინი სცხოვრობენ.

ფოტოგრაფების დელეგატი
ვარლამ ჩლაიძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

დავკარგე შრომის ბირჟიდან მოცემული უმუშევრობის მოწმობა, ოთხი კლ. გათავების მოწმობა და სხვა გიორგი ანტონის ძე იორდანიშვილმა. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ტირაჟი 1000
საქართ. ცენტ.მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა კრუზენშტეინის ქუჩა.